


Received Oct 10 1974



# თავისუფლება



825  
1974

საპარტიველოს ბანთაგისუფლე ბისათვის მებარძოლთა ორბანო

სარედაქციო კოლეგია: ლევან ზურაბიშვილი, [REDACTED] გიორგი წერეთელი.

## LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№ 5

პარტია

სექტემბერი 1974

### ავისტროს აჯანყების 50 წლისთავი

ხანგვარი საუკუნე გვაშორებს იმ დაუწეწკარ დღეებში, როდესაც ქართველმა ხალხმა ეროვნული დროშა ააფრიალა და თითქმის უიარაღოდ, მსისურად ეცვეთა საოკუპაციო ხელისუფლებას, და შეეცადა დაკარგული ეროვნული უფლებების ძალით აღდგენას. ეს გმირული დღეები ისტორიაში შევიდა ავვისტროს ეროვნული აჯანყების სახელით.

საერთაშორისო და თვით საბჭოთა რუსეთის შინაგანი მდგომარეობის ანალიზი აშკარად მეტყველებს, რომ ამ დიდებულ საქმის წარმატება თავიდანვე განწიროული იყო. ამ აჯანყებამ დიდი მსხვერპლი მოუტანა ჩვენს ხალხს. მისი ბრწყინვალე ახალგაზრდობა უმოწყალოდ გაიცილტა, ათასობით ქართველი დიდა და ქართველი მეუღლე ატირდა და ძაძებით შეიშისა, ათასობით მოზარდი დაიბლდა და დაიჩავრა... **მიუხედავად ამისა** ეს საუბესწერო თარიღი არ არის ეროვნული გლოვის შეკანული დღე, არამედ მისი ეროვნული ცხოველყოფილობის იშვიათი გამოვლინება. იგი მწვერველი თანამედროვე საქართველოსი. ამ მწვერვალთან, როგორც ჩვენმა თავმჯდომარემ, ბ-ნმა ზურაბიშვილმა განაცხადა 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, ნათლად მოჰანს ჩვენი ერის ნამდვილი სახე წარსულში, — იქედება მისი სულიერი ძლიერება და სიმტკიცე აწმყოში; ღვივდება ურკვევი რწმენა მის კეთილ მომავალზე.

1924 წლის ავვისტროს დღეებში ქართველმა ქალწულებმა და ქაბუტებმა საკუთარი სისხლით, დიდი ღწით, დღლაბივით შეკრა ერი და მას დამოუკიდებელი არ-

სებობის რწმენა შთაბერა. ის მამულიშვილური ანკარა სისხლი დღესაც გადმოდის ჩვენში უხილავი დინებით, ფრთებს გავსაშს ახალ მწვერვლებისაკენ გასანავარდებლად და გვეწამს მომავალი თაობებიც ასეთივე ზეგავლენაში დარჩებიან თუ მეტად არა.

კრემლის ბატონები მშვიდობას ქადაგებენ, მაგრამ მათი მშვიდობა, თანსწორუფლებიან ერთა მშვიდობა კი არ არის, არამედ ძალმომრეობის დაკანონება, მიანების „მშვიდობა“. ეს „მშვიდობა“ კარგად გამოცადეს ბუდაპეშტისა და პრაღის მოსახლეობამ. ყველაზე აღწერა 1924 წლის ავვისტროში, ქართველმა ხალხმა უარი თქვა ასეთ „მშვიდობაზე“.

ავვისტროს გამოსვლები არ იყო ცალკეული ეპიზოდი, არამედ ერთი ბრწყინვალე ნაწილი იმ საშვილიშვილო ბრძოლისა, რომლებსაც ეწევა ქართველი ხალხი: 1921 წლის თებერვლიდან მოყოლებული. ბრძოლა გრძელდება, ის გაგრძელდება მომავალშიც, მანამ სანამ ჩვენი ერის შელახული უფლებები არ აღდგება.

ამ 50 წლისთავზე, მუხლს ვიდრეკეთ რა იმ დღეებში დალუბულ მამულიშვილთა სულის შესაედერებლად. ფიცს ვდებთ, რომ მათ სათაყვანებელ სახელეებს, შარავსებელ-მოსილებს, შემოუნახავთ ჩვენს შემდეგ თაობებს, ჩვენც არ ჩავავებთ ხმლებს ქარქაშებში, სანამ ის საქმე და ის დღეები არ გამოარჯეებენ, რომლებსაც ისინი მამაცურად შეეწირენ.

სამარადეამო იყოს დალუბულთა ნათელი ხსოვნა.

გაუმარჯოს მათ დიად საქმეს!

# აგვისტოს მსხვერპლებს



(ამ აჯანყების ერთ მამაც მონაწილეს,

ჩემს სათაყვანებელ ძმას ახელს.)

დავხაროთ წუთით,  
სისხლში ნაბანი,  
სამფეროვანი  
ქართულის დროშები.  
ცრემლები არა!  
ცრემლები არა!  
გმირთ არ შეფერისთ  
ცრემლი, ოხვრები.

რისხვის დღემილი  
უფრო უხდებათ  
თავისუფლების  
უშინარ მებრძოლოთ,  
საქართველოსთვის  
თავშეწირულებს  
მარადისობის  
გვირგვინი ეხლოთ.

ივერიონზე,  
როგორც მთიები,  
იმუქტურებენ  
ის ნეტარები,

და არ გაჰქრება  
მათი ნათელი,  
სანამ იქნება  
ერთი ქართველი.

\*  
ლომი ლომსა ზრდის  
და ფრინველთ მეფე  
მისებრ ფრთებიან  
მთათა არწივებს.  
ქართველი დედა  
კვლავაც გამოზრდის,  
მათსავით ამაყ  
მამულიშვილებს.

\*  
დავხაროთ წუთით,  
რომ საბრძოლველად  
ისევე ხელახლად  
გავშალოთ ლაღად.  
ჩვენც მოვიხადოთ  
მამულის ვალი;  
აჩრდილთ წინაშე  
წარესდგეთ ამაყად.

დე, ვიყოთ ლეკნი,  
ლომების სწორნი.  
შეეფიცოთ ფიცი  
გაუტეტელი,  
თავც სამშობლოსთვის  
თავი არ დაღვას  
ნუ შეარჩინოს  
მარჯვენა ხელი.

\*  
ერთსულოვნება,  
ერთმიზანსწრაფვა,  
გაუტეტელი  
სული და გული,  
გააცამტვერებს  
ძალმომარებას,  
კვლავ აყვადებთ  
ივერთ მამული.

ქორონიკონი.

უკანასკნელი რედაქცია;  
აგვისტო, 1974 წ. პარიზი.

## მამალი.

## აგვისტოს აჯანყების დღე საფრანგეთში

საფრანგეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა მიერ აგვისტოს აჯანყების 50 წლისთავი გადახდილ იქნა, სოფ. ლევილის ქართველთა მამულში, 15 სექტემბერს.

ამინდმა თითქოს წილი დაიღვა ჩვენს საქმეში, დალიდან უღრუბლო ცა და ზაფხულის მცხუნვარე მზე დაგეყურებდა. მოძღვარმა ილიამ წირვა ბაღში, ატმის ხეების ქვეშ გალაიხადა. წირვის შემდეგ იქადაგა აგვისტოს აჯანყების მიზეზებზე, მის მნიშვნელობაზე, და იმ როლზე, რომელიც ამ დიდ ეროვნულ საქმეში მიუძღვის ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას საერთოდ, და კერძოთ მის წინამძღვარს, კათალიკოს ამბროსოს. ქადაგების შემდეგ გადახდილ იქნა პანაშვიდი ყველა იმ მამულიშვილების, რომლებიც 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის დღეებში, და ამის შემდეგაც ამავე მიზეზით, იქ სამშობლოში და აქ გადმოხვეწილობაში, მსხვერპლად დაეცნენ. ამის შემდეგ შედგა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელიც, ბნლ. ზურაბიშვილის ავადმყოფობის გამო, გახსნა ბნმა ვიქტორ ხომერაკმა, რომელმაც მოკლედ, მაგრამ ამოწურავ

ხაზეში დაახასიათა აჯანყების გამომწვევი პირობები, თვით აჯანყების მსვლელობა და ბოლოს თუ რას გავაღვლებს ეს აჯანყება დღეს ქართველ პოლიტიკურ გადმოხვეწილებს. ბნ გ. ხომერაკის შემდეგ პოლიტიკური სიტყვები წარმოიტქვეს: ბნ-მა: პ. სარჯველაძემ და მის. ქეთარაძემ, ხოლო ფრანგულად ბნ-მა მ. ხუნდაძემ.

მოჰყვა, ადგილზევე, საერთო პურობა. სადილის შემდეგ, 16 საათზე, ყველანი შეიკრიბეთ ლევილის ქაათა სასაფლაოზე პრეზიდენტ ნ. ქორდანაის საფლავთან, რომლის პირდაპირაც, ახლანა აიგო საერთო საძვალე. დაიწყო ლიტანია. მოძღვარს ახლდა ქართული დროშა. გალობდა გუნდი. პროცესიამ ნელი ნაბიჯით, შემოუარა ყველა საფლავს, სიმბოლიურად შეჩერდა და დროშა დახარა. ჯერ ეროვნული გმირის ქ. ჩოლოყაშვილის საფლავზე, შემდეგ ქართლის პარტიზანული ლაშქრის მეთაურის მიხეილ ლაშქარაშვილის საფლავზედ... — გუნდი განუწყვეტლივ გალობს: „საუკუნო იყოს სხენება მათი.“ „საუკუნო იყოს სხენება მათი... და თითქოს, ან მცი

რეგულაციის ხმა, სამშობლოდან მილიონები აძლევს ბანს, და ისე ერთად, მაღალდება დაუსრულებელ ცის ტატ-ნობებში. . .

ნელ-ნელად, თითო-თითო ვტოვებთ სასაფლაოს. — ნახევარ საათსაც არ ვაუვლია, შავი ღრუბლები წამოიგრაზნენ ცაზე, ატყდა ქექა-ქუხილი, დაუშვა კოკისპირულმა წვიმამ, თითქოს ყოველი შემომქმედი ცხარე ცრემლებს აფრქვევდა მამულისაგან დაუტირებლებს.

როგორც ნიუ-იორკიდან გეტყობინებენ, აქ 21 სექტემბერს, ვადახდილ იქნა ავვისტოს აჯანყების 50 წლის-თავი. სამოქალაქო პანაშვილის დროს მინიჭდა მისი მსენებლები იყვნენ: ბანი გიორგი ნაკაშიძე და ბანი გივი ზალდასტანიშვილი.

დ. ვაშიძე.

ქართული ემიგრაციის ნათესავი

„თავისუფლების ტრიბუნის“ მე-3 ნომერში ქართული ემიგრაციის შესახებ, ჩვენი მეგობრის გიორგი წერეთლის წერილს „53 წლის შემდეგ“ უბასხუთი ვერ დავტოვებ, მოთქმეტეს, რომ ის ერთიორად მოხვდა გულს.

ჩვენ არ ვართ დარაზმულნი ერთად, ერთ უღელში არა ვართ გაბმულნი, ამიტომ ვერ ვეწვეით საკმარისად ჩვენს მძიმე, ძალიან მძიმე ურემსო! ჩვიის ქართული ემიგრაციის სატიკვარზედ წერილის ავტორი, და ეს ჯერ ისედაც რთული ამოცანა უფრო გართულებულია იმითაც, რომ უცხოეთში დამხმარე აღარავინ გვაყავს, რასაც ნოე ყორღანა ამას უკვე 1953 წელს მთელი თავისი სიმძაფრით განზობდა, როცა ის თავის მოგონებაში „ჩემი წარსული“ წერდა: „ევროპის საზოგადოება დაღლილია, სხვისი სატიკვარი მას არ სტიკავა, არც კი ამჩნევს მას და ცდილობს მხოლოდ ერთს — იყოს თავისთვის წყნარად, უღარდელად.“

სიმწუხრისა და უღარდლობის რა მოვასხენით, მაგრამ ჩვენ ხომ ჩვენი პოლიტიკა გვქონდა მუდამ, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი იყო მთავრობების პოლიტიკა დასავლეთის ქვეყნებში.

„თუ ემიგრაციის ერთი საერთო პოლიტიკური ორგანიზმის უქონლობა სამწუხაროა, ის ფაქტი, რომ ემიგრაციის ერთი დიდი ნაწილი სრულიად გამდგარია პოლიტიკურ საქმიანობისაგან, საეკონომიკო და გაუგებაროც“, გულსტიკვილით აღნიშნავს ჩვენი გულშემოტყვივარი.

პოლიტიკური პარტიების და დაჯგუფებების არსებობა ემიგრაციაში არა თუ შესაძლებელია, არამედ საჭიროდაც მიგანინია ჩემო გოგი, მაგრამ სწორედ ესაა, რაც ხელს უშლის ერთი, საერთო ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის მაწარმოებელი ორგანიზმის დაფუძნებას.

ფსიქოლოგიურად გასაგებია, რომ საქართველოს თავისუფლების დაკარგვის შემდეგაც, ჩვენი წინა თაობა პარტიულობას, დროებით მაინც ვერ ივიწყებს და ემიგრაციაშიდაც პარტიულ პოლიტიკის გზაზედ დგას. ეკესმის, რომ ქართული პარტიების ხანშიშესული ხელმძღვანელთათვის ძნელი იყო მათგან დაბადებული და ნახევარი საუკუნით შერხილდ მოძრაობაზედ ხელი აეღოთ.

მაგრამ ჩვენ, დღესაც ცოცხლებს, მაშინ ხნოვანობის 30 წელსაც არ მიღწეულთ, არასოდეს არ გვაპატიებს ჩვენი ერის პოლიტიკური ისტორიკოსი, რომ თავის დროზედ ვერ შევიგენით რეალური მოთხოვნებიცა, ვერ აღმოჩენილი ეროვნული პასუხისმგებლობის მაღალ საფეხურზედ და ვერ შევკარით ერთ დიდ პარტიოტულ მოძრაობად ჩვენი ჯგუფები.

ჯანსაღ დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის პარტიების არსებობა და მუშაობა აუცილებელიცაა; ერთპარტიული სისტემა, ჯანმთელი ოპოზიციის გარეშე თავისუფლებას ასამარებს, რომლის მაგალითი უხვია და „სოციალისტურ“ — კომუნისტური სახელმწიფოები ამის საუკეთესო ნიმუშებად ითვლებიან — ყველაზე წინ კი რუსეთის დესპოტია. მაგრამ მაშინ, როცა ერთ დაპყრობილია და მისი შეილები ემიგრაციაში პოლიტიკურ პარტიებად და მრავალ ქვეპარტიად დაყოფილი არიან, ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, სირცხვილია და ამაზედ პასუხს უთუოდ მოგვთხოვს ქართველი ერი.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ძალების დაქსაქსვას ყოველთვის მოსდევს საერთო მტრისადმი ჩვენი წინააღმდეგობის შენელება და ემიგრაციის წარმატება დამოკიდებულია მისი იდეური ერთიანობისაგან, აზრის და მოქმედების ერთიანობისაგან — ყოველგვარი მერყეობა და გაუბედვაობა ამ ჩინოტოლებით ზიანს აყენებს უწინარეს ყოველის ქართველი ხალხის ინტერესებს. სრულიად უმარტულად არ არის მოსკოვის ვასაფანად, მისი აგენტის, ბესარიონ ჟღენტის გაკეთებული პატაკი: „შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამჟამად პარიზში არსებობდა აღარც კი არსებობს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია.“

სრული ქვეშარტებაა, რომ თავისი დროისათვის ყველა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ბევრად მეტი აქვს გაცუთებელი, ვიდრე ჩვენი თაობის ეროვნულ ემიგრაციას, რომელსაც ერთი გარკვეული და შეურყეველი ხაზივც ვერ მოუძებნია.

ქართველ პარტიათა მიერ დროგამოშვებით შექმნილმა ეროვნულმა ფრანგმა, ეროვნულმა საბჭომ და თუგინდ საკოორდინაციო ბიურომ უქანასკნელი ოჯი ათუღლი

2962





წლის განმავლობაში ვერ დაადგინა დისციპლინა ემიგრაციაში და ვერ მიმართა ის ერთი გზით. ემიგრაციის პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია ნამდვილ ეროვნულ საფუძველზე, პოლიტიკური ერთობის შედარებით შეიძლება მხოლოდ პარტიების დაშლის ფუნდამენტზე, და ყოველგვარი სხვა მეთოდი ოპორტუნიზმს ვერ გაექცევა, რაც ყოველთვის დიდი ზიანის მომტანი ეროვნული მოძრაობისთვის.

კვიკვიანობა მოგვსთქვამს თავი, მაგრამ ჭკუათხელეობით ვიქცევით, რაც საქმე ქართული ეროვნული ინტერესების დაცვას ენება. ერთი, ყველაზე სავალდებულო იდეოლოგია მძურ დახლოვებასა და სოლიდარობას მოვკითხავს, პარტიულ კონკლავებსა და ინტრიგებს შედეგად პოლიტიკური საქმიანობისგან გამდგარი ემიგრაციის დიდი ნაწილიც თავის მოვალეობის შესრულებას დაუბრუნდება და ერთიანი განუყოფელი გავხდებით საქართველოს მომავლისთვის ბრძოლაში.

არა გვაქვს წინა თაობის ღრმა ცოდნა და ფართო პოლიტიკური გამოცდილება, ჩვენი როგებიც თანდათან თხელდება და როგორც ბესარიონ ქლენტიც გახარებული შენიშნავს: „ქართული მენშევიზმის და სხვა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების მესვეურთაგან თითქმის აღარავინაა ცოცხალი“. ისინი „იმედდარებულნი და სასოწარკვეთილნი“ კი არ მიზარებიათ უცხოეთის მიწას ბატონო ბესარიონი, არამედ ვალ-მიხილნი, ღრმა რწმუნით მისცემიან შვილიზიან ძილს, რომ საქართველოს განთავისუფლებისთვის გამაგრებულ პოზიციებზე თავგანწირულ ბრძოლას მისი მომდევნო თაობა, რუსობრივად რამდენიც ის არ უნდა იყოს, შეუდრეკელად განაგრძობს, თქვენი და თქვენგან ქებული რუსეთის რეჟიმის მოსაპოვებლად.

ემიგრაციაში ყოფნას ნურავინ ჩაითვლის დამსახურებაში, მაგრამ ეროვნული ემიგრანტის იდეური სიმწიფის საზომია მისი აქტიური მოქმედება, შინაგანი მოთხოვნილება, უჩინარი, ქველგანი, ყველასთან, ყოველ ვითარებაში უკომპრომისოდ ახორციელებდეს ეროვნულ ხაზს, გადაჭრით გამოადგეს საწინააღმდეგო შეხედულებებს და განწყობილებებს, იცავდეს ჩვენი ეროვნული მიზნის სიწმინდეს, ქართველი ხალხის მაღალ იდეალებს — ესაა ქართული პატრიოტიზმი და ქართული პოლიტიკა, პოლიტიკა და პატრიოტიზმი, ერთმანეთში რომ გადადის და ერთმანეთს ავსებს და აკეთილშობილებს.

ერთსა და იმავე დროს, როგორც ამაღს ერთს, რომ მეორე არ მოიძღვროს — ასეთ ვითარებას ბოლო უნდა მოეცლოს. „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი წინააღმდეგია: ორყოფიანა, გაძრომ-გამძრომია, ორ სკამზე ჯდომა გამოირცხვლია.“ აცხადებს გადაჭრით უარ ეორდანი. (რჩეული ნაწერები“ 15 გვ.)

ისე, როგორც არასოდეს, თვითვე ემიგრანტს მოეზოვება ურკვევი იდეური რწმენა, ქართულ ეროვნულ, პატრიოტული თვითშეგნების სიმახვილეს, მსხვერპლად გზით შეგვეძლება გაუმკლავდეთ ბოლოშევიზმის იდეოლოგიის დამპყრობელ ზრახვებს.

ნუ გაუსწრებთ მოვლენებს, რომლის შეფასებაში შეიძლება შევცდეთ. მხოლოდ ერთში დავრჩებით მუდამ შეუმცდარნი; თუ ყოველ მოვლენას ქართული ინტერესების მიხედვით განვიხილავთ და მისთვის გამოვიყენებთ, და ეს იმ დროს, როცა ეროვნულ განმათავსებელ მოძრაობის უფართოეს გაქანებას ადგია აქვს ხელივე კონტინენტის ყველა მხარეზე.

ქართულ ეროვნულ ემიგრაციაზე დაკისრებული იდეი და უკვდავი მოვალეობის უმწიფო და პატივმოყრელი საქმიანობის ხელისშემშლელი მოვლენად გადაიქცნენ დღესაც ჯერ კიდევ არასებული პოლიტიკური პარტიათა დაჯგუფებანი და ამ საფუძველზე ხელოვნურად შეკოწიწებული გაერთიანებანი.

ქართული ემიგრაციის ერთი დროშის ქვეშ გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ მსხვერპლს გავაღებთ და პიროვნულს, ისე, როგორც პარტიულ ჯგუფურ ინტერესებს მას ვანაცხავდებით. მომწიფებით დიდი ხანია ეს პროცესი დასრულებული უნდა იყოს ყოველი ქართველი ემგრანტის ეროვნულ შეგნებაში და დროა განხორციელების შემწეულ სასიცოცხლო მდგომარეობას ბოლო მოუღოთ.

თანამედროვე მსოფლიო მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის გარემოცვაში ცხოვრობს, ორ ბანაკად გაყოფილი, თვითველი მთავანი ცილობის განამტკიცოს იდეოლოგიური ერთობა და მასზე დამყარებთ სახელმწიფოების პოლიტიკური და მილიტარული კავშირი. ჩვენი მდგომარეობა გეიკარნახებს გაცდეთ პარტიულ სახლებებს, ხელი ავიღოთ პოლიტიკური პარტიების დოკუმენტზე და შევქმნათ ერთი ეროვნული მოძრაობა, მთელი ემიგრაციისთვის ერთი საერთო იდეოლოგია და არა იდეოლოგიათა თანაარსებობა, როგორც დღემდე და რამაც პოლიტიკური გულგრილობა, პასიურობა და ნეიტრალიზმი მოვიტანა იმ მთავარ მიზნის მიმართ, რომლისთვისაც ჩვენ უკომპრომისოდ უნდა ვიბრძოდეთ. იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა და არა პოლიტიკურ პარტიათა კოორდინაცია. მხოლოდ ერთი იდეოლოგია დაგვაშობილებს ერთმანეთთან, ერთ მთლიან, უორღვევო ახალ შეგვიკრავს; მხოლოდ ერთი, საერთო ყველასთვის სავალდებულო იდეოლოგიით აღმოვფხვრით პოლიტიკურ გულგრილობას; მხოლოდ პატრიოტული ერთობით მივალწევთ ნამდვილ ამხანაგურ ვითარებას; მხოლოდ პარტიულობის უარყოფით გამოვიყენებთ ემიგრაციაში ქულზედ კაცს საქართველოს პოზიციების გასამაგრებ-



ლად; მხოლოდ ერთი პარტიოტული ხელმძღვანელობით შეგქმნით მკვიდრ კადრებს აქ, და საქართველოში ჩვენებრ მოაზროვნეებში გავალრმავეებით სულიერ მქიდროთ კავშირს.

ჩვენი თაობა ხანში შევიდა და ჩვენც ძუნწად მოზომილ უცხოეთის მიწაში მოვებნით ადგილს, მაგრამ საქართველოს განთავისუფლებსათვის ბრძოლა ხომ ჩვენი თაობით არ სრულდება, და სწორედ ამ მომავალ ბრძოლას უნდა მოუმზადდეთ მყარი ნიადეგი პარტიოტობაზე ხელის ადებით და საქართველოს სახლებრების გარეთ დაბადებული ქართველები აქეთვენ მიემართოთ, რომ მით შეგვეცვალონ, თუ არ გვინდა, რომ ემიგრაციას სასიკვდილო ქრილობა მივაცყენოთ. რის შემდეგაც საქართველოც განწირულია.

როგორც ემიგრაციაში შექმნილი პირობები, ისე დიდ საფრთხეში ჩავარდნილი საქართველოს ვითარება გვიკარნახებს ყოველგვარი პარტიოტობის დავიწყებას, გვიყენებს აუცილებლობას შეკავშირებისას, შერკინებისას, იდეურ-პოლიტიკურ, ერთ იდეოლოგიურ პლატფორმაზე.

როგორ მოაწყო ქართველმა ხალხმა თავისი მოძავალი: „მონარქია თუ რესპუბლიკა, ლიბერალიზმი და დირიჯიზმი, სოციალიზმი თუ ეკრძო წარმოება და ეკრძო ინიციატივა?“ ამაზე ჩემო გოგი თავს ნუ იტყივებ: ჯერ არ მოსულა ამის დრო, ქართველებს იქ, საქართველოში მობეზრდათ და სოციალიზმს და კომუნისმს ვერ გააგონებთ და ნურც ჩვენ შევევებით ამ საკითხებს „თავისუფლების ტრიბუნის“ ფურცლებზე.

ჩვენი პროგრამა ისედაც დიდი და ფართოა. ეს არის ქართველი ხალხის სუვერენიტეტის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განხორციელება და ამისათვის უნდა იბრძოდეს მთელი პოლიტიკური ემიგრაცია, როგორც ერთი კაცი.

**ურთიერთგაგება, თანამშრომლობა აღარ ემარა, საქირია ერთი ლოზუნგი ყველასათვის. მხოლოდ ასე შეგვეძლება ბრძოლა მივსცეთ საქართველოში გაბატონებულ უცხო ძალას.**

**მინაწმირი:** 1917 წლიდან, ჯერ კიდევ 14 წლის ჭბუთკი მეც ჩამითრია საქართველოს პოლიტიკურმა ქარიზხალმა, რომლის შედეგადაც 1923 წელს ემიგრაციაში მოჯედი. უქანასკნელი 30 წელი, ცალკე მიხდება ცხოვრება და ეფერაციის პრაქტიკულ პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ვეღარ ვერევი.

მეც მაწუხებდა და მაწუხებს დღესაც ქართველი ემიგრაციის დაქსაქსულობა და მისი გადახალისება — გარდაქმნაზედ, საბრძოლო ფრანტის ვაცხოველებაზედ სძირად მიფიქრია. ამ მიზნით, უქანასკნელად, 10 წლის წინად ბან ნიკო ურუშაძის სახელზე „საკიორდინაციო ბიუროს“ მივმართე და ზემოდ განვითარებული აზრი გაუზიარე.

ბან ნიკო ურუშაძეს გადაეცა ჩემი წერილი „საკიორდინაციო ბიუროს“ მდიენისთვის და მათთვისვე უსთოდ მოიკრებანზე იქნება გარჩეული და ბიუროს უსთოდ ვიასუხებსო.“

პასუხი დღემდე არ მიმიღია და მიზეზიც ჩემთვის გამოურკვეველი დარჩა. შესაძლებელია უქანასკნელ ათი წლის განმავლობაში არც კი მოუწვევიათ ბიუროს სხდომა, ან მხოლოდსა და დიდ მოვლენებში იმდენად დატვირთულნი არიან, რომ ემიგრაციაზე ზრუნვისათვის დრო აღარ რჩებათ.

შეიძლება კიდევაც გამოიჩინეს სულგრძელობა და ჩემი წინადადება გაარჩიეს, მაგრამ რალც ტაქტიკური მოსაზრებით, ოფიციალური პასუხის მაგივრად ბან ნიკო ურუშაძის ჩემდამი მოწერილი პატაკით დაკმაყოფილდენ.

მიუხედავად, ბრიუსელში და პარიზში მცხოვრებ ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის თავკაცებიდან კი გამამხნეებელი წერილები მივიღე, და მაირდებოდნენ დახმარებას, მაგრამ გამოვიღოდა კი რამე ამ საქმიდან, კიდევაც რომ შემძლებოდა პარიზში ჩასვლა?

აი რატომ ერთიორად მოხვდა ჩემს გულს „თავისუფლების ტრიბუნა“-ს რედაქტორის, ბატონ ვიორჯი წუეთელის წერილი, რომელც „მართალია პოლიტიკური პარტიების დატოვებით, მაგრამ მაინც, ცდილობს ქარიული ეროვნული ემიგრაციის ერთ ნაწეში თავმოყრას.

დ. ვაშაძე.

**ჩვენი პოლიტიკა გაერთიანების საკითხზე**

ბან დ. ვაშაძის გამოძახილი ჩემს წერილზე: „53 წლის შემდეგ“, დიდი მამულიშვილური განცდით დაწერილი დოკუმენტია. „ქართული ემიგრაციის სნულუბას“ ავტორს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რომ დროა უქან ჩამოვიტოვოთ პირადი, პარტიული თუ სხვა მოტივები და ყველა ერთ ეროვნულ უღელში გავებათ, თუ გვესურს ცოტა რამ შედეგი გამოიღოს ჩვენმა ბრძოლამ ეროვნული განთავისუფლების საქმეში.

გაერთიანებული ეროვნული განთავისუფლებისათვის მეტბოძილი პოლიტიკური ორგანოს შესაქმნელად არსებობს ორი ძირითადი საშუალება:

1. არსებული პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების დაშლა და ერთი ეროვნული განთავისუფლებისათვის მეტბოძილი პოლიტიკური ორგანოს შექმნა.
2. არსებული პოლიტიკური პარტიების დატოვება, მათი გაერთიანება საერთო ფრანტში, რომელშიდაც ერთ ფრაქციათ შევლიან ყველა ისინი ვისაც, სანამ საქართველო არ განთავისუფლებულა, არ სურთ ამა თუ იმ პარტიაში თანამშრომლობა.



ბ-ნ დ. ვაშაძის პირველი გზა მიანიჩა უკეთესად და თითქმის აუცილებლად, მე კი მეორე გზა არის უფრო რაციონური და მამასადამე უკეთესი შედეგების მომტანიც.

უქანასკნელი მსოფლიო ომის წინ ადგილი ჰქონდა სწორედ ისეთი ზეპარტული მიძრაობის დაარსებას, როგორცა დაახლოვებით ბ-ნ დ. ვაშაძე იცავს. საქართველოში დაარსებული ისტორიული პარტიების დაშლა ამით მიიწეოდა არ მოხდა და ერთობის მაგივრად დაიარსა ახალი პარტია. თუ იმ ხანად დასაშვებები იყო ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსება, დღეს ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა ეს თავიდან ავიცილინოთ, რადგანაც დღევანდელ ვითარებაში უფრო მეტად ვიდრე წარსულში, ახალი პოლიტიკური დაჯგუფება შეიძლება გახდეს გათიშულობის მიზეზი და არა გაერთიანების.

არცერთ პოლიტიკურ პარტიას დღეს, აღარ აქვს აშხი-ცია მარტო აწარმოოს განმათავისუფლებელი ბრძოლა, კიდევ მეტი, არც ერთი პოლიტიკური პარტია, ან პოლიტიკური დაჯგუფება არ ქადაგებს, არ იბრძვის თავისი პარტიის ოქტობრის გასაზოიცილებლად. არამედ ყველა ეროვნული პარტიებისათვის საერთო — ერის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

მამასადამე არავითარი სერიოზული მიზეზი არ არსებობს ამჟამად, რაც ხელს უშლიდეს ყველა პარტიების და ორგანიზაციების ერთ საერთო ფრონტში თავმოყრას. ერთმა რომელიმე პარტიამ ან ორგანიზაციამ შეიძლება რეზერვები იქონიოს, და დროებით გაერთიანება არ ისურვოს, მაშინ, რა თქმა უნდა, დარჩენილები უნდა გაერთიანდნენ; დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმიანობას, და ეცადონ ამ გარეთ დარჩენილი პარტიის არა მოსაპაზუე, არამედ მის შემოყვანას თავის წიაღში.



**გ. ქართველი.**

**ჩა ხაზება მსოფლიოში**

**ცვლილებები ამერიკის მთავრობაში.**

უქანასკნელი ხანის მსოფლიო მოვლენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია, 9 აგვისტოს, ამერიკის შ. შ. პრეზიდენტის რ. ნიქსონის „გადადგომა“ და მის ადგილას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ჟერალდ (ჯერრი) ფორდის დაინიშვნა, საყოველთაოდ ცნობილი „უოტერგაიტი“ სკანდალთან დაკავშირებით.

ამერიკის ამბებს, საზოგადოთ, უდიდესი გამოხმაურება აქვთ მსოფლიოში. ამის მიზეზია ის, რომ ეს ქვეყანა იყო, არის და ჯერ-ჯერობით რჩება მსოფლიოს უმძლავრეს სახელმწიფოთ, არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით, არამედ თავისი მოწინავე ტექნიკით, თავისი საწარმოო პროდუქციის სიმძლავრით, თავისი საერთაშორისო კაპ-

კიდევ ერთ საკითხში ვერ დავეთანხმებოდა ამერიკის. ის გვიჩვენებს თავისუფლების ტრიბუნა მსოფლიოში. თვითონ განთავისუფლებისათვის იზრუნოს და ყველა დანარჩენს გვერდი აუაროს. ეს ალბათ მისთვის, რომ არაფერი განაწყენდეს. თუ კი ჩვენ უმოთაგრესში — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა — შეთანხმებულნი ვართ, მაშინ მეორეხარისხოვან საკითხებში უნდა შეგვეკვლინო განსხვავებულ აზრთა ატანა (ტოლერანს). ცესკოში რა თავისუფლად სამყაროში, ჩვენ შეგვიძლია დავამუშაოთ სოციალურ-ეკონომიური, ფინანსური და სხვა მრავალი საკითხები, რომელზედაც საქართველოში ობიექტურად განსჯა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას არ უნდა მიეცეს პარტიათა შორის ბრძოლის ხასიათი, არამედ მხოლოდ საკითხის დაყენების და შესწავლის, რომელსაც ზოგი დაეთანხმება და ზოგიც უკუეგდება.

არ უნდა გვაეჩივებოდეს, რომ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლასთან ერთად, ჩვენ ვაწარმოებთ აგრეთვე ბრძოლას ტრანაისთან და ამ უქანასკნელია: გადაბმული ვართ მსოფლიოს თავისუფლებისათვის ჰებრძოლ ძალებთან. არა მარტო ჩვენი დროა უნდა იყოს თავისუფლების, არამედ ჩვენი, სული, გული, მთელი არსებით, უნდა გზელმძღვანელობდეთ თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებით. თავისუფლების ტრიბუნა ცდილობს ეს პრაქტიკულად განახორციელოს. ამიტომ დაგვიბმეთ ბ-ნ გ. ვანხაძის წერილი, ბ-ნ ელ. მაყაშვილის და თვით ბ-ნ დ. ვაშაძის ეს სტატია. ჩვენ შემდეგშიც ამ გზას გავყვებით და არ გვეოინა ეს სახიანო იყოს ჩვენი უზენაესი საქმისათვის. თუ გულწრფელნი ვიქნებით, ამგვარად ჩვენ უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს და უკეთაც დავავასებთ.

**გ. წერეთელი.**

მდგომარეობა და ამის მიხედვით იმოქმედოს, თუ უნდა რეალური შედეგების მიღწევა თავისი ერისთვის.

„თ. ტ.“ №1-ში, როცა საერთაშორისო მდგომარეობას მიმოვიხილავდი „უოტერგაიტის“ სკანდალის შესახებ დავასკვნებ: „თუ ნიქსონმა შესძლო ამ საქმეში თავისმართლება, მაშინ იგი შევა, როგორც ერთ-ერთი დიდი პრეზიდენტი ამერიკის სახელმწიფოს ისტორიაში, თუ არა და, ის ალბათ იძულებული იქნება პრეზიდენტის ფუნქცია სხვას გადასცეს. როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს პურუსთი მოცული ამბავი, იგი მოწმობს ამერიკის დემოკრატიის ბრწყინვალე დადასტურებას. ამ ამბის შემდეგ ყველასათვის აშკარაა, რომ კანონის წინაშე, ამერიკაში არავინ „ტახტ“ არ არის, თვით ყოვლისშემძლე პრეზიდენტიც კი.“ ეს ჩემი მაშინდელი დასკვნა ეხლაც რჩება სრულად ძალაში.

„უოტერგაიტის“ სკანდალის პირველ და უმნიშვნელოვანეს სტადიის კულმინაციას წარმოადგენს პრეზიდენტ რ. ნიქსონის განგვირგვინება.

1972 წელს ტრიუმფალურად არჩეული, როგორც ამერიკის შინაგან, ისე საგარეო საქმეებში მიღწეული წარმატებებით. შარავანდემოსის, რ. ნიქსონი იძულებულია 1974 წლის 9 აგვისტოს გადადგეს, იმავე 1972 წლის არჩევნებში დაშვებულ არა კონსტიტუციონალურ მოქმედებისათვის, ვითინ ამბობენ, თითქოს „უოტერგაიტის სკანდალი“ მომიზეზებდა იყოს, ხოლო ნამდვილი მიზეზი რ. ნიქსონის უბედურების მდგომარეობადეს საერთაშორისო სიონიზმის ან ანტისამკოთა ჯგუფების შეთქმულების ნაყოფი. სიმაართის ნატამალი, შეიძლება ამ მოსაზრებამაც იყოს. შესაძლებელია, უოტერგაიტის კოკონს სულს უბერავდენ სხვა და სხვა პოლიტიკური დაჯგუფებები, მოწინააღმდეგენი ნიქსონის მთავრობის პოლიტიკის. მაგრამ უმთავრესი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ საქმის გახსნასა და დავიერგვინებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ამერიკის თავისუფალმა პრესამ, მთავრობისაგან დამოუკიდებლმა სასამართლომ და საკანონმდებლო დაწესებულებამ. ერთი სიტყვით, ამერიკის დემოკრატია და იგი ამ მნიშვნელოვან გამოცდიდან გამარჯვებული და გაძლიერებული გამოვიდა. შევეცადით ამის ახსნას: რ. ნიქსონი, 1972 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, გადაწყვიტავს უჯაშუთო მოწინააღმდეგე პარტიას — დემოკრატებს. მისი უახლოესი თანამშრომლების საშუალოდ და ზედამხედველობით გზავნის დაქირავებულ პირებს საიდუმლო მიკროფონების მოსაწყობად, ამ პარტიის მთავარ შტაბში. ბორჯომიც იმყოფება უოტერგაიტად წოდებულ შენობაში. ბორჯომი მოქმედებდა ამ ბანდას, თავის საქმიანობის დროს წაასწრებენ და დააპატიმრებენ. თავდაპირველად იგი ჰკონიათ უბრალო ქურდბანდაცობის საქმე, მაგრამ, — სწორედ აქ იჩენს თავს ამერიკის

დემოკრატიის ცხოველმყოფელობა, — მიუხედავად იმისა, რომ რიჩ. ნიქსონს, როგორც პრეზიდენტს, შეეძლო და დიდი შესაძლებლობები ამ მცირე ხასიათის კრიზისილობის (საბედნიეროთ ადგილი არ ჰქონებია მკვლელობას) დასამალავად, მან ეს ვერ შეძლო, თუმცა ამისათვის მას ცდა არ დაუტოლა — სწორედ იმის გამო, როგორც ზეით ვთქვით, რომ ამერიკის დემოკრატია — მისმა ყველა შემადგენელმა კომპონენტმა შეუფერხებლად იმოქმედა, და ნება არ მისცა რ. ნიქსონს ჩაეხშო სინაჰოლე. აიძულა იგი საჯაროდ გამიშვებულყო, ელიარებია და ნაშაულო, და ბოლოს თერთ სასახლეს ვასცოდნობდა: შერცხვენილი, პოლიტიკურად განადგურებული და ქონებრივად ვალარბებულთი.

ყველაფერი ეს მოხდა საჯაროთ — ამერიკის და მთელი მსოფლიოს ვერაუშზე.

ვატყვართ ენა მარალელი საბჭოთა რუსეთთან: რუსეთის დემოკრატიის სისუსტის გამო — 1917 წლის 25 ოქტომბერს — ლენინმა ერთი მუტუა შეთქმულებით ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, გამოაცხადა ჯიქტატურა, რომელსაც მან პროლეტარიატის დიქტატურა უწოდა. რუსეთის დემოკრატია, განიცადა რა მისი პირველი მარცხი, ნელნელა, უკან შემოუბრუნებლად ვა ვაუხსნა მძინეწარე ტრინაინ... აქედან მოყოლებული, საბჭოთა ტრინაინ არსებობს მისივე გამოუმუშავებელი კონსტიტუციის ხელყოფით. ლენინის მთავრობამ უბრალო დეკრეტით აკრძალა კადეტების მშლავი და მასიური პარტია, შემდეგ კი, როგორგამოთ ყველა ოპოზიციური პარტიატი და პროფესიონალური ორგანიზაციები. მათი წევრები კი ციხეებსა და ვადასახლებებში აშალაო. სტალინმა ოპოზიციასაც აღარ დასჯერდა და მისი პარტიის შიგნით ნამდვილი. თუ მოჩვენებით ოპოზიციასაც მუსრი ვაავლო. და ამ საყოველთაო კრიმინელის საჯაროთ დავმობას დღესაც, ოკი წლის შემდეგ მისი სიყვდილის, ვერ ბედავენ საბჭოთა მესევერები. ალბათ იმიტომ, რომ მათაც ძალაუფლება არა კონსტიტუციონალურად, არამედ ბან დიტური გზით ავეთ მიღებული. ხრუშჩოვმა და მისმა ბანდამ, როგორც ნამდვილი ვანსტიკებს შეფერვბათ, მუხანათურად, ვაუსამართლებლად წესი აუგეს კრიმინელი. ბერიას და მის ხელქვეითებს, და მხოლოდ ამირვად ხელთ ივდეს უხარმაზარი იმპერიის მმართველობა. კრემლის დღევანდელმა ბატონებმა — ლ. ბრეჟნევმა და კომპანიამ — ასევე ვარულად, სიბნელეში, ბანდიტურად, შეიძლება უფრო სუფთად, ხელისუფლება ჩამოართვს ნიკიტა ხრუშჩოვს, საბჭოთა კავშირის უფლებაყირილმა ხალხმა დიდესაც არ იცის თუ ერისთვის, რატომ, ან რა მიზანს ემსახურება უზენაეს ხელისუფალთა ეს ცვალებადობა.

მიკროფონებით, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების თუ ახლო თანამშრომლების ჯაშუშობა, ხომ ისეთი ყოველ-



დღიური და ჩვეულებრივი ამბავია საბჭოეთში, რომ ამაზე ლაპარაკი არც კი ღირს. ამიტომ არ არის ვასაკვირი, რომ საბჭოთა პროპაგანდამ „ამერიკის იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ეს ამბავი სრულიადაც ვერ გამოიყენა, პირიქით უოტერგაიტის სკანდალი მას არასოდეს უხსენებია, ხოლო რ. ნიქსონის ვადადგომასთან დაკავშირებით მისკოვის რადიოს და ტელევიზიის კომენტატორმა განაცხადა: „შე ვიყავი ამერიკაში და ჩემი თვალით ვნახე ის არაჩვეულებრივი განგებამ რეცხვა, რომელიც იქ პრესამ, რადიომ და ტელეხედეამ მოახდინა.“ ასეთია ლოლიკა კრემლის ბატონებისა.

უოტერგაიტის ლაქასა და საბჭოთა რეჟიმის სიველურეს შორის, რა თქმა უნდა, შედარება შეუძლებელია, მაგრამ ხშირათ, უოტერგაიტის ამბის მსგავსად, ერთა შეხედვით, უბრალო და პატარ-პატარა ხელყოფისაგან ჩდება პატარ-პატარა და დიდი ტირანები, ამიტომ ყოვლისშემძლე ამერიკის პრეზიდენტის ვანგვირგვინება — „უოტერგაიტის საქმე“ მნიშვნელოვანი მავალითა თავისუფლების მოყვარე კაცობრიობისათვის.

ამერიკის შ. შ. კონგრესტების ქვეყანაა. იგი რასათა და ერთა დიდ ნარევეს წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ ერთ ნაკიდას და დიდლებულა. მის შემადგენელ ელემენტებს შორად ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები აქვთ, კნებებ და დიდ როლს თამაშობს იქ (მაგრამ სად არ თამაშობს ის დიდ როლს?) სარწმუნოებაც, რომელიც ასევე მრავალრიცხოვანია. არ არსებობს საუკუნოების მიერ ჩამოყალიბებული ადითაჩვეულებები, ექნებ ყველა ამის გამო ამერიკელი მოქალაქისათვის. კანონი ყველაფერზე მალა დგას. ამ კანონს ყველა ვალდებულია დაემორჩილოს უბრალო მოქალაქედან ხალხის მიერ ამორჩეულ და გადლიერებულ პრეზიდენტამდე. რომ კანონმა ვანუხრულად იბატონოს, არსებობს საწოგადობერივი ახრი, რომელსაც მთავრობა დიდ ანგარიშს უწევს, თავისუფალი პრესა, ურთიერთ მოქიშე პარტიები, ამ უკანასკნელთა „ელტერნანსო“ ხელისუფლებაში წმინდადეს და აჯანსაღებს სახელმწიფო ადმინისტრაციას. ასე იყო გუშინ, ასეა დღესაც, იმდენ ექონიით ასე იქნება მომავალშიაც, ამიტომ, დღესაც, 100 წლის შემდეგ, შეგვიძლია გავიმეოროთ დიდი ფრანგი პოლიტიკური მთაზროვნის ტოკველის სიტყვები: „ამერიკაში ჩვენ შეგვიძლია ვისწავლით არა მარტო პროდუქციის გამოიმუშავების მოწინავე მეთოდები, არამედ დემოკრატიაც.“

მინაწმინდი. ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც ცნობა მოვიდა: ა. შ. შ. ახალმა პრეზიდენტმა ე. ფორდმა შეიწყალა ყოფილი პრეზიდენტი, ყველა მისი პრეზიდენტობის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის, და ამრიგად რ. ნიქსონის მოსალოდნელი სამართალში მიცემის და სიმართლის ძიების საკითხი შეუძლებელი გახდა. ა. შ. შ. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტ ე. ფორდს სრული უფლება ჰქონდა ასე მოქცეულიყო.

თუმცა ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენს ახრს ვე შეიძლება დიდი ფასი არა აქვს, მინც ჩვენს ჩვენს შეუერთებთ იმ საპროტესტო გამოძახილს, რომლის მახედვითაც ე. ფორდის ეს გადაწყვეტილება ბრწყინვალეებს არ სძენს ამერიკის დემოკრატის. უკეთესი იყო სიმართალს თავისი როლი შეერსულება, სიმართლე მხილებული ყოფილიყო, და თუ საჭიროება მოითხოვდა, შეპლდე ბომბეულიყო ეს შეწყალება.

### პორტუგალიის ამბები.

ა/წ25 აპრილს, პორტუგალიაში ადგილი ჰქონდა მხედრების აჯანყებას. აჯანყებულებმა დააპატიმრეს მთავრობისა და პოლიტიკური პოლიციის ყველა მნიშვნელოვანი პირი, მათ შორის პრემიერ მინისტრი დიქტორი კაეტანო. სამაგიეროთ ციხეებიდან გაანთავისუფლეს გარდაცლილი რეჟიმის ყველა ოპოზიციონერები. ამრიგად დასრულდა დიქტორ სალვარის მიერ, 50 წლის წინად შექმნილი, პოლიციური რეჟიმი. რეჟიმის დამარცხების მთავარი მიზეზია კოლონიალური ომი, რომელსაც პორტუგალია ეწევა უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში. მხედრებისათვის აშკარა გახდა, რომ სამხედრო საშუალებებით შეუძლებელი იყო კოლონიალური ომის მოგება.

პირველ განცხადების თანახმად მხედრებს სურთ მიწოდების ჩამოგდება პორტუგალიის აფრიკულ ერებთან. ამის შესახებ მათ კიდევაც უხსნაიაზეს ზავი მოწინააღმდეგეებს. ასევე მხედრებს უნდათ დემოკრატიული რეჟიმის დამყარება პორტუგალიაში. ე. ი. ხელისუფლების გადაცემა ხალხისათვის.

სახელმწიფოს დრეებითი მეთაურია გენერალი ანტონიო დე სანილა. მთავრობაში მხედრებთან ერთად შედიან ცენტრისტები და მემარცხენე პარტიები, მათ შორის სოც. დემოკრატები და კომუნისტები. პორტუგალიის ახალმა მთავრობამ უკვე იცნო გინეისისას სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ონუს წარუდგინა ამ სახელმწიფოს უკუბრუნის კანდიდატობა. მოლაპარაკებები წარმოებს და უკვეყლად დადებითად გადაწყდება ანგარიის და მოზამბიკის დამოუკიდებლობაც.

ფრანკოს ეგანანთამაც საჯაროდ განაცხადა, რომ მის აფრიკის ტერიტორიაზეც უახლოეს ხანში, მოახდენს რეფერენდუმს. ამრიგად ევროპაში და მთელ მსოფლიოშიც რჩება ერთადერთი კოლონიზატორული სახელმწიფო — საბჭოთა რუსეთი.

### კიპროსის ტრადედია.

მიმდინარე წლის ივლისში, ხმელთაშუა ზღვის ამ დომოსავლეთ კუნძულზე კვლავ საშინელი ტრადედია დატრიალდა. დედა-სამშობლოსთან შეერთების მომხრე ბერძნები აჯანყდენ და ხელისუფლება კუნძულზე ხელში



ჩიადგეს. ეპისკოპოს-პრეზიდენტმა მაკაროსმა გაქცეული უშველა თავს. თურქეთის მთავრობამ თავი გამოიღვა თავის ერისშვილთა დასაცავად, ჯარები გადასხა. კუნძული ორათ გაჰკვეთა, ერთი ნაწილი, სადაც თურქული მოსახლეობა ქაბობბს ძალით დაიკავა და როგორც საბერძნეთი ისე მთელი მსოფლიო შესრულებულ ფაქტის წინაშე დააყენა. სამხედრო ოპერაციების და სამოქალაქო ომის მსვლელობის დროს დიდძალი კიბროსის მოქალაქე დაიღუპა და დაზარალდა. სამხრეთის სამხედრო მთავრობა უძღური გამოდგა თურქებისათვის წინააღმდეგობა გაეწია და იძულებული იყო ადგილი დაეთმო კოვილ მთავრობის თავმჯდომარე კონსტანტენ კარამანლისისათვის, რომელიც 1963 წლიდან ოპოზიციამ მყოფი, ცხოვრობდა პარიზში. უდავოა, კიბროსის კუნძული ისტორიულად ელინების საკუთრებას წარმოადგენს. ელინელების სამხედრო სიძლიერის დაკემის შემდეგ, კუნძული, ჯერ რომაელებს, შემდეგ ბიზანტიას ეკუთვნოდა. ან უკანასკნელის დაკემის შემდეგ, კუნძულის დასასაკუთრებლად ერთმანეთს ედავებოდა ვენეციის რესპუბლიკა და ოტომანთა იმპერია, ბოლოს ამ უკანასკნელმა კუნძული დიდი ხნით დაიპყრო, რასაც მოჰხვია თურქი მოსახლეობის ჩასახლება. მიუხედავად თურქთა მძლავრობისა, პერძებმა შესძლეს, როგორც ქრისტიანული რჯულის ისე ენისა და სხვა ეროვნული თავისებურობის შენარჩუნება და დღესაც ისინი რასაც მათთვის შეადგენენ შვილი მოსახლეობისას, ქვეყნად, რომ სამართალი არსებობდეს, კუნძული კიბროსი სამხრეთის უნდა ეკუთვნოდეს. იმ პირობით, რომ უზრუნველყოფის თურქ მოსახლობის ავტონომიური უფლებები. მსოფლიოს მძლავრ სახელმწიფოთათვის, სამართალზე უწინ, სტრატეგიული საკითხები დგას. ამიტომ კრემლის ხელისუფლება ასე დაინტერესებულია თავისი ცხვირი ჩაჰყოს, და ისედაც რთული საკითხი, თავისი ცბიერებით კიდევ უფრო გაართულოს და გაამწვავოს.

**გ. ქართველი.**

**ლ. ზურაბიშვილი.**  
**ორი ძარბულთა სპულობრო ხილისთავი**

(გაგრძელება. იხ. თ. ტ. №4)

**ქ. ბერგამოში** შედგა, (28/30 ივნისს 74) „პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართულ ხელოვნებაზე“ და გაიხსნა ქართულ არქიტექტურის ფოტოგრაფიული გამოვენა.

ყველა ეს იყო შედეგი სამი წლის მზადებისა: მილანის, ბერგამოს და ტორინოს ხელოვნების მცოდნეობის, ხელოთმოდერების და ისტორიის ინსტიტუტების წევრებისა, —სპირო შეიქნა სამგზის მათი წარმომადგენელია და ფოტოგრაფის ჩასვლა საქართველოში. უნდა აღინიშნოს რომ საწყისი ამას მისცა, მილანოში მცხოვრებმა, პროფესორმა ნინო ყაუხჩიშვილის ასულმა, და კიდევ პრეზიდენტულად განახორციელა.

ეხლავე უნდა ვთქვა, რომ უკეთესი გარემოცვა რომეცა, ვიდრე ეს საშუალო საუკუნეებიდან შემორჩენილი ქალაქის ნაწილია — თავისი ტაძრით, სასახლეებით, მანქანებულ ბულ ეზოებით, ვიწრო მოკენილ ეტროტუარო ქუჩებით და ლამაზ ბალებით — ძნელი იქნა.

სიმპოზიუმის მოხსენებებში მიიღეს მონაწილეობა: იტალიელ, ფრანგ, ამერიკელ, ინგლისელ, გერმანელ, უნგრელ და ქართველ პროფესორებმა. ქართველების მონაწილეობა, ფაქტურად, განახვევდა ენისიდან პროგრამით გათვალისწინებულ 11 ორატორის მაგივრად დაეწერო მხოლოდ ექვსი.(რატომ არ მიეცა ვიზა სხვა ხუთს—გაურკვეველი დარჩა.

აქ ვახსენებთ მხოლოდ ქართველ მომხსენებლების სახელებს: ა.ა. პრუფ. ვახტანგ ბერიძე,(შესანიშნავ ფრანგულ ენაზე), არქეოლოგ ო. ლორთქიფანიძე (იტალიურად), ლილია ხესკივამე, კიტი მაჩაბელი, გაიანე ალიბეგაშვილი და ნათელა ალდაშვილი. პარახელ ქართველმა არქიტ. ალექსი კობახიძემ წაიკითხა მოხსენება სენეთის და ხეცსურეთის ციხე ქალაქებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სიმპოზიუმის დამსწრენი დიდ ინტერესს იჩენდნენ. ყველა ისინი იყვნენ არა უბრალო სწომის მოყვარენი. არამედ ამ დარგის სპეციალისტები.

რაც შეეხება ქართულ ხელოთმოდერების სურათების გამოფენას ის მოთავსებული იყო ბერგამოს მე13-ე საუკუნის სასახლეში. ძველ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. მშვენიერი ფერადი ფოტოსურათები საქართველოს მთავარ ძეგლების (მე5 საუკუნისა და მე-13ე) შესრულებული იტალიელ სპეციალისტთა მიერ, ამკობდენ 56 წახანგოვან საკეც თეჯირის ორთავე მხარეს. — რომლის ლოკოკინისებური განლაგება უადვილებდა მაყურებლებს, კატალოგი თელში, სურათების მიმდევრობით დათავსდნენ.

შესანიშნავად გამოცემულ კატალოგის თაობაზე ერთი შენიშვნა გვმართებს. აქაც იტალიან-სამკოთა ურთიერთობის საზოგადოებამ ეშმაკის(ჩლიქი) გამოაჩინა. კატალოგში საქართველოს ისტორიის მიმოხილვა რადიკალურად შეკვეცილია — და შეჩერებული, რუსეთისაგან 1801 წლის ანექსიაზე..

საერთოდ თვით სიმპოზიუმმა, და გამოფენამაც იტალიურ პრესაში; (და არა მხოლოდ ადგილობრივში, მაგ. „კორიერ დელა სერა“-შიც) და საზოგადოებაშიც დიდი ლტაცება გამოიწვია. მათ მომწყობთ: პროფ. ყაუხჩიშვილის და პრუფ. ადრიანო ალაპეო ნოველის ვადამწყვეტილი აქტე განაგრძონ და ადაფართოვონ დაწეებული საქმე, ყველა იმ მეცნიერთა დახმარებით ვინც მათ გვერდში ამოუდგათ.

ჩვენი მხრივ, ვუსურვებთ საარბრეუკენსაც და ბერგამოსსაც; გახდნენ ქართული კულტურის მუდმივი ღილისთავენი დასავლეთ ევროპში.

**ლ. ზურაბიშვილი.**



დ. ურატაძე.

70-ანი წლების „მისიონერები“.

23 მაისის ვახუთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, ამ სათაურით გამოქვეყნებულ რეპორტაჟში, ლაპარაკია 1.400 მათ შორის 400 ახალგაზრდა, წალკელის პეტროციაზე. პეტროციაზე ხელმძღვრეი წალკელები ხელისუფლებას საზოგადოებრივ საბჭოთა კონსტიტუციით აღიარებულ რელიგიური თავისუფლების ცხოვრებაში გატარებას, სახელდობრ, უფლებას — რაიონის ცენტრში ეკლესიის ასაგებათ. წალკელებს ორჯერ უტყდათ პატარა ეკლესიის საკუთარი ხარჯებით აგება, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლებას ორივეჯერ დაუზრგევია ბულდოზერებით, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობა. ადგილობრივი ორგანოების ამ უთანონო მოქმედებას მოწონებით გამოეხმაურა ვახუთი „ახალგაზრდა კომუნისტში“ და როგორც რეპორტაჟიდან ჩანს, საბჭოთა საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებაც ვახუთი „ახალგაზრდა კომუნისტის“ რეპორტორი 1.400 წალკელ მორწმუნეს და მათ თავიკაცებს უწოდებს „ბნელეთის მოციქულებს“. „უთანონონის მაქინატორებს“, მექრთამეებსა და მევახშეებს, სოფლის პარაზიტებს.

მაგრამ პატრიკეული რეპორტორი უბასუბოდ ტოვებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, დაკავშირებული რწმენის თავისუფლებასთან. სახელდობრ — როგორ უნდა ავსნათ ის ფაქტი, რომ საბჭოთა კონსტიტუცია აღიარებს რელიგიურ რწმენისა და რელიგიურ ქადაგების უფლებას, თუ რელიგია ბნელეთის მოციქულობას გულისხმობს? ან როგორ უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ საბჭოთა კომპარტიამ ძღვეამოსილი ტირანის სტალინის მეთაურობით, ომის წლებში უფლებებში აღადგინა რელიგია, ე. ი. ბნელეთის მოციქულები? ან კიდევ, როგორ იმიჯნა კომუნისტური დიქტატურა სრულიად საქართველოს კათალიკოსს, ე. ი. რეპორტორის ტერმინით, „ბნელეთის მოციქულთა“ წინამძღვარს? დებოლოს, როგორ უნდა ვავიჯთ ის ფაქტი, რომ ერთი კომუნისტური „კათალიკოს-პატრიარქს დავით მეხუთეს უწოდებს „უწმიდესს და უნეტარესს“, ხოლო „ახალგაზრდა კომუნისტი“ — „ბნელეთის მოციქულს“? ამ კითხვებზე პასუხს ვერ გამოვლინებ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რეპორტორის წერილში.

საბჭოთა ხელისუფლება, თუ იგი პატრიკე ცემს თავის კანონებსა და გადაწყვეტილებებს, ვაღდებულობა დაკავშირებული წალკის მოსახლეობის თხოვნა, მითუმეტეს, რომ წალკელები არ მოითხოვენ ფინანსიურ დახმარებას სახელმწიფოსაგან.

არანაცვლებად დამაფიქრებელია ამ რეპორტაჟის ასექტი, სახელდობრ დემოგრაფიის, ე. ი. მისიონერების შემადგენლობის, და ტოპონომიკის, ე. ი. დასახლებული პუნქტების სახელების საკითხი.

წალკი ჩვენი ქვეყნის ისტორიული და განუყოფელი ერთეულია ისევე, როგორც მაგალითად გურჯაანი, ზუგდიდი, მახარაძე და სხვა. ბუნებრივია მისი მოსახლეობის უმრავლესობას ქართველობა უნდა შეადგენდეს. ერთი სიტყვით, ქართული სოფელი, რაიონი თუ ქალაქი პამინ ჩაითვლება ჩვენი ქვეყნის ორგანიზულ ნაწილად, როცა იქ ქართველები ქართული ელემენტები.

თუ გადავხედავთ პეტროციაზე ხელმძღვრეთა სიას, იქ ვერ ვიპოვით ვერც ერთ ქართულ ვაჭარს. ხოლო დაუჯერებელია, რომ წალკის რაიონის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდეს ქართველობა და პეტროციაზე 1.400 ხელმძღვრეთა შორის არც ერთი ქართველი არ იყავს. ნუ თუ წალკში ერთი ნაჭერი მიწა და ერთი ქოხი არ აღმოჩნდა ქართველი კაცისათვის, რომელსაც მამა-პამაგან ეკუთვნის თრიალეთის ეს წარმტკი კუთხე?! რათ გაბატონებულან იქ პოპოვები, კოსტანოვები, ჩიქინოვები, კალაჩევი, აზნაშორაოვები, ტოდიკოევი, გუროვანოვები, და სხვა მისთონანი?!

ახლა გადავხედოთ 24 მაისის ვახუთი „კომუნისტის“ ერთ წერილს, რომელშიც მოთხრობილია ერთი წინასაარჩევნო კრების მსვლელობა ტყვარჩელში.

ვინ არის ნომერი 491 საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე? მისიონერია! ვინ წარმოთქვა პირველი სიტყვა? პამერანცევაი! ვინ ილაპარაკა ვერცხვად? ასიხოვმა, დორიონეკომ და სხვებმა. ამ კრებაზე არც ერთი ქართველი არ ჩანს. სად არიან ისინი?

ქართველი ხალხი ამ კითხვაზე ვარკვეულ პასუხს მოეწოდებს ჩვენი ქვეყნის მეთაურებისაგან, რომლებიც სიტყვით ბევრს ლაპარაკობენ ქართულ პატრიოტიზმზე. ე. წ. ინტერნაციონალიზმი კი იმას როდი ნიშნავს, რომ ქართული მიწაზე ერთ დღეს უმცირესობაში აღმოჩნდეს ქართველი მოსახლეობა.

ჯერ კიდევ 1971 წელს ვახუთი „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ჩვენი ქვეყნის პატრიოტიზმის დამცემი გამოქვეყნეს წერილები და მოწოდებები „საქართველოს დასახლებული პუნქტებისათვის, ქართული სახელების აღდგენის თაობაზე“. ეს საკითხი ადვილი მოსავარაუბრებელი იყო, მით უმეტეს, რომ ჩვენმა მეზობლებმა სომეხებმა სომხეთში აღადგინეს ისტორიული ტოპონიმები და ამას არ გამოუწვევია მოსკოვის რუსხვა

კითხულობს ქართველი კაცი 23 მაისის „ახალგაზრდა კომუნისტში“ დასტამბულ რეპორტაჟს „სამოცდაათიან წლების მისიონერებს“ და თუ მას უფლი შესტკივია თავის მამულსა და ხალხზე, არ შეიძლება გული არ მოუფიქრდეს, როცა ვავიჯებს, რომ წალკის რაიონში არც ერთ სოფელს



არ შერჩენია ისტორიული სახელი. და განა მარტო წალკის რაიონში?!

ნუთუ უმჯობესი არ იქნებოდა ვახეთ „ახალგაზრდა კომუნისტს“ ამ მის თანამშრომლებს, პრველ რიგში ეზრუნათ დემოგრაფიის და ტოპოხიძის მოგვარებაზე, ნაცვლად იმისა რომ, მოსვენება არ მისცენ ხალხს. რომელსაც განუზრახავს ერთი პატარა ეკლესიის აგება: წირვა-ლოცვისათვის?!

**დ. ურატაძე.**

**ქართული ენის აბუჩად აგდების უბადლო მაგალითი.**

ა/წ 11 სექტემბრის ვახეთ „კომუნისტში“, მე-4 გვერდზე საკმაოდ ვრცელი წერილია პროფ. ალექსი მინდიასი, ამ სტატიიდან ვტყობილობთ: გამოცემლობა „მეცნიერებას“ ამ დღეებში გამოუცია, რუსულ ენაზე. ორი შესანიშნავი წიგნი **„გაუფიქრო ტვინი“** და **„თავის ტვინის ემბიფეროზების ფუნქციური დიფერენციაციის შესახებ.“** ეს ორი წიგნი წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თავის ტვინის ნახევარსფეროთა ურთიერთქმედობის შესწავლულ ლაბორატორიის, უკანასკნელ 10 წლის კვლევის შედეგს, და მისი ავტორები არიან: ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი ვ. მოსიძე და მისი თანამშრომელი მეცნიერების მუშაკები: კ. აქბარდია, რ. რიჯამაძე, ნ. თოთიბაძე და ზ. ქვენიშვილი.

ამრიგად, ეს ქართველი მეცნიერები, რომლებიც ქართველი ხალხის წყალობით აწარმოებენ თავიანთ კვლევას, ქართველ ხალხს მშობლიურ ენაზე კი არ მოახსენებენ ამ კვლევის შედეგებს, არამედ **რუსულად**. არის ეს ერთი გამონაკლისი, თუ ჩვეულებრივი ამბავი ქართული ენის აბუჩად აგდებისა. დღევანდელ საქართველოში?

**ხალხთა მეგობრობის მუზეუმი თბილისში.**

29 ავისტოს ვახეთი „კომუნისტი“ გაუფიქრებს, რომ პირველად ჩვენს ქვეყანაში სადუმელო ჩაუყრიათ ხალხთა მეგობრობის მუზეუმისათვის. ინტერნაციონალიზმი, ხალხთა მეგობრობა — ასეთია ამ დანუსებულების დევიზი. მუზეუმის დირექტორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი თ. ბაღრაშვილი გვიხსნის, რომ უპირატესი მნიშვნელობა დაეთმობა რუსი ხალხის და ქართველების მეგობრობის ჩვენებას. ალბათ, ამ „მეგობრობის“ ბრწყინვალე მაგალითებათ, პატივცემული მეცნიერების კანდიდატი და მისი ახალი მუზეუმი ჩათვის 1801 წელს, მეფის რუსეთის მიერ მოკავშირე საქართველოს სამეფოს ანექსიას და 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობას..

**ინციდენტი ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის საზღვარზე.**

რეიტერის სააგენტოს ცნობით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ, 15 მარტს განაცხადა: „საბჭოთა ელიკოპტერაში, რომელიც 14 მარტს აწარმოებდა ფრენას ჩინეთის საზღვრებთან, რათა ერთი მძიმე ავადმყვანი ჯარისკაცი გადმოეყვანა, ცუდი ამინდის გამო, გზა დაკარგა და იძულებული გახდა ჩინეთის ტერიტორიაზე დაფრენილიყო.“ საბჭოთა ხელისუფლება მოითხოვდა ელიკოპტერისა და მისი ეკიპაჟის დაბრუნებას.

24 მარტს, ჩინეთმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ: „ნეშოდ მოყვანილ საციხიზე, საბჭოთა კავშირის ვერსია სინაითებს არ შეუფერვბა. სინამდვილეში, ელიკოპტერი აწარმოებდა ჩინეთის სასაზღვრო ტერიტორიის დასაზღვრებს და რომ, ამ მისიით მან არა ერთი რეისი გააკეთა: დატყვევებულ ელიკოპტერს, თავისი მოწყობილობით არაფერი აქვს საერთო საამულატორიო აპარატთან.“ ჩინეთი პროტესტს აცხადებს მის ტერიტორიაზე დევნილობის არა ერთი აქტის გამო და ასყვის: „თუ არ შეწყდა ასეთი აქტები, შედეგების სრული პასუხისმგებლობა დაეკისრება საბჭოთა კავშირს“-ო.

ა/წ. ივანის ბოლოს, ვახეთ „ფიგაროს“ მოსოკელის კორესპონდენტი რ. ლაკონტრი იტყობინებოდა: „ჩინელები, დატყვევებულ ელიკოპტერის ეკიპაჟს, რკინის გალიაში ჩასსულს, ქუჩა-ქუჩა ატარებენ რომ საზოგადოებრივი აზრი ანებებდონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ საქმის მოსაგვარებლად ლ. ბრუნენგმა პეკინს საკვიარო მისიით მიაყვინა სავარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლიონდ ილიჩევი-ო. როგორც ჩანს ჯერ-ჯერობით, არც ამ ამბასად გამოუღია საბჭოებისათვის სასარგებლო შედეგი.

სამაგიეროდ, საბჭოთა პროპაგანდა თანდათან აპლიერებს კამპანას მათ-ცედუნის რეჟიმის წინააღმდეგ. ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ზუენ-ლაი ყველა ქვეყანას აფორხილებს საბჭოთა იმპერიალიზმის საშიშროებაზე. მაგალითად, ჰოლანდიელ ემიგრატორებს, ამას წინად განუცხადა: „დამბრუნდით თქვენს ქვეყანაში და უთხარით თქვენს ხალხს შეიარაღდით, შეიარაღდით, და კიდევ შეიარაღდით საბჭოთა რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ“-ო.

**აბსტრაქტიული ხელოვნების გამოფენა მოსკოვის გარეუბანში.**

ა/წ 15 და 17 სექტემბრის, ვახეთ „ფიგაროს“ საეკიპო კორესპონდენტი იტყობინებოდა: ქ. მოსკოვის ერთ ერთ სამხრეთ გარეუბანში, 25-30 მხატვარმა მოაწყო თავიანთი აბსტრაქტიული მხატვრობის გამოფენა, როგორც



კი მხატვრებმა ეს ნახატები გამოაჩინეს, მაშინვე იმ აღგილს შეეხებოდა ბუღალტერები და მიწაში ჩამარხეს ყველაფერი. პოლიციამ ყველა მხატვარი დააპატიმრა და უხეშად გაჟანტა კორესპონდენტები და დიპლომატები, რომლებიც ბლომად იყვნენ მოსულნი. დაპატიმრებულებმა სასჯელად მიიღეს: ზოგმა 15 დღის პატიმრობა, ზოგმა 20 მანეთის ჯარიმა.

### მგზავრის შთაბეჭდილება

ჩემი მოსკოვენი ყოფნისას, მაღაზიაში, სადაც მხოლოდ უცხო ვალუტაზე ვაჭრობა, ორი წყვილი ქალის ფეხსაცმელი ვიყიდე ნათესაუებისათვის. ამერიკული დოლარი 82 კაპიათ იანგარიშს.

— როგორ! დოლარი უფრო დაბლა დგას პანთზე კურსით? — გავიკვირე მე.

— აბა არ იცით? — მიპასუხა მოლარე ქალმა.

— თუ კი ავარე, რატომ არ იყიდება თქვენ საეპურაში, საქონელი საბჭოთა ფულზე? მომეცით კიდევ ორი წყვილი ფეხსაცმელი ქალისა და საბჭოთა მანეთებით გადაგიხდით. ამაზე ვერც მოლარემ და ვერც სექციის გამგემ ვერაფერი მიპასუხეს.

საქართველოდან უკან დაბრუნებისას, საღამოს ექვს საათზე ჩასულედი მოსკოვში. ღამის პირველ საათზე ძლივს მივწვეით ლოჯინზე მოსასვენებლად; დანარჩენი დრო წვილი, ადგილიდან ადგილზე ხეტიალმა, ბიუროკრატიზმმა. — უტხოვლათაოვის დასაწოლს, ხელისუფლების ორგანოებში იძულებით.

მქონდა ხელბარგი, რომლის ბაგაყად მიცემა არ შეიძლებოდა ახალ გამოსულს საავადმყოფოდან არ გქონდა ღონე მკლავებში, რომ ჩემი მცირე ხელბარგი თვითონ შემეტანა თვითფრინავში. რამდენი ვეხვეწე აეროპორტის ადმინისტრაციას, მილიციის ლეიტენანტსაც კი ვთხოვე, რათა მოეცათ კაცი ხელბარგის თვითფრინავში შესატანად დამხმარებლად. ვსაბუჯლოს აუნაზღაურებდი, მაგრამ უსულულობის უბედოდ მაგალონს წაეწაყდი. ყველა ყრუ აღმოჩნდა ჩემი თხოვნის მიმართ. დიდი ვაჭრებებით, ენერჯის მთელი დაძაბვით, ოფისში გაწურულმა შევიტანე ბარგი თვითფრინავში.

ეგროპის აეროპორტზე დაფრენისას, ორმა ეგროპიელმა, მაღალი კლასის ინტელიგენტმა დასტაცეს ხელი ჩემს ბარგს და გაიტანეს გარედ საბაგაყო განყოფილებიდან ორი მძიმე ჩემოდანთან ერთად. ბარგის შემამოწმებელ ჩინოვნიკს ვთხოვე: „აჰა! ვარ, ადრე გამოვიქე მეთქი,“ სიტყვა აღარ დამასრულებინეს, აიტაცეს ჩემი ბარგი და ჩამსვეს ტაქსიში. ამ ორმა ინტელიგენტმა უტხოვლმა, სხვა ეგროპენებისა, მიმაცილეს სახლამდე ისე, რომ ტაქსის ფულიც არ გადამხდევინეს.

ოცი წუთის შემდეგ, აეროპორტზე ჩამოსვლიდან, უკვე ლოჯინში ვიწექი.

20 ივნისს ენენგავში შეიკრება იძულებითი და სავალდებულო შრომის საწინააღმდეგო კონვენცია, რომელმაც სტალინური საიში შეიტანა საბჭოთა კავშირი, როგორც იძულებითი და სავალდებულო შრომის გამტარებელი ქვეყანა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა სემიონ ივანოვმა, როდი უარყო იძულებითი შრომის არსებობა საბჭოთა კავშირში, არამედ განაცხადა, რომ: „ჩვენში შექმნილია პირობები, სადაც შრომა უფლებაც არის და მორალური ვალდებულებაც, თვითონი მოქალაქისათვის. ყველა ისინი ვინც არ ლეზულობენ ქვეყნის მიერ ნაჩვენებ გზას, არიან ზარმაკები. სიზარმაცე იწვევს კრიმინელობას და ამრიგად ბრძოლა სიზარმაცის წინააღმდეგ ნიშნავს ბრძოლას კრიმინელობის წინააღმდეგ.“

იძულებითი და სავალდებულო შრომის საწინააღმდეგო მსოფლიო კონვენცია არსებობს 1930 წლიდან, საბჭოთა კავშირი მისი წევრი გახდა 1956 წელს და ფართოდ სარგებლობდა ამ მსოფლიო მორალურ ტრიბუნით, ანტიკომუნისტური რეჟიმების წინააღმდეგ.


საბჭოთა კავშირში, რომ იძულებითი შრომის პრაქტიკა არსებობს, ეს ჩვენთვის ახალი ხელი არ არის, მაინც იგივე საღმებთ ამ მსოფლიო დაწესებულების გამგებობას, და თავმდაბლად ვთხოვთ არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ პლატონური რეზოლუციით, არამედ სათანადო გამოხმაურება მისცეს მსოფლიო აზრის წინაშე, შრომის თავისუფლების დარღვევის ამ უღდავ ფაქტს.

### საბჭოები და კოსმოსში მოგზაურობა

როგორც ცნობილია ამერიკის შ. შტატებმა წარმატებით შესრულები ორჯერ მთავრებულ მოგზაურობა. საბჭოები ამ მხრივ დიდთ ჩამორჩენილნი არიან და ყველაფერს შევბიან, რათა ეს მდგომარეობა გამოასწორონ.

ამ ზაფხულში მათ ორი ცდა აწარმოეს: ივლისის დასაწყისში, დედამიწის ირგვლივ, ორბიტაზე მოათავსეს თანამგზავრი, რომელსაც ეწოდება „სალიუტ 3“. შემდეგ კი მის შესახვედრათ გაუშვეს კოსმიური ხომალდი „სოიუზ 14“, რომლის ეკიპაჟსაც შეადგენდა პოლოკიჩიკი პავლე რომინის ძე პოპოვიჩი და ინიენერი, პოდპოლკოვნიკი იური პეტრეს ძე არტუხინი. ეკიპაჟმა შესძლო „სალიუტ 3“-ში გადაჯდომა, იქ დავალებული მისიის შესრულება და უკან დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნება.

ავგისტოს ბოლოს კვლევა გაუშვეს „სალიუტ-15“, რომლის ეკიპაჟსაც შეადგენდა უფროსი პილოტი, გენერალ სარგეი პილოტი, დაბადებული სარატოვის მახლობლად და მეორე პილოტი, ინიენერი ლევ დიომინი, დაბადებული



მოსკოვში. ამ ჯერად „სოიუს-15“-ის ეკიპაჟმა ვერ შესძლო „სალიუტ-3“-ში გადაჯდომა და ორი დღის ფრენის შემდეგ უკანვე დაბრუნდა.

როგორც ვხედავთ, ამ ორივე შემთხვევაშიც ისევე როგორც ყოველთვის ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში, ისეთ მოწინავე ტექნიკის და მეცნიერების დარგში, როგორც კოსმოსური ნავიგაციაა, მხოლოდ რუსები ღებულობენ მონაწილეობას. ალბათ ასე ესმით საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობა რუსებს, იქნებ „უფროსი ძმები“ უფრო ხილდებიან უმცროსებს და საშიშ მისიებზე არ აგზავნიან?

**გაფიცვები შიმშილით.**

რ. ნიქსონის ვიზიტთან დაკავშირებით, შიმშილით გაფიცვა გამოაცხადა აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა, რათა ამერიკის პრეზიდენტის ყურადღება მიექცია იმ ფაქტზე, რომ საბჭოთა კავშირის ხელისუფლება გაუსაძლისად აპატიმრებს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს.

ამავე დროს, ესტონეთში შიმშილობა გამოაცხადა 13-მა წარმოშობით გერმანელმა მოქალაქემ, როლინგმაც ვერა-

ვითარ სხვა საშუალებით ვერ მიიღეს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის ნებართვა. იმავე წყაროების ცნობით, ესტონეთში ცხოვრობს 40.000 გერმანული წარმოშობის მოქალაქე, რომელსაც სურს დაბრუნდეს გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში. მაგრამ ყოველი მათი ცდა აღმედ რჩება უშედეგოთ.

**სტალინის დროინდელი ჩეკის უფროსის დაჯილდოება.**

სემიონ იგნატიევი გახლდათ სახელმწიფოს უშიშროების მინისტრი სტალინის დროს, ამ ვაჟბატონმა დააპატიმრა ე. წ. „ეთერ ხალათიანი მკვლელები“, რომელთაც ბრალდებოდათ „ხალხთა მამის“ მოწამელის განზრახვა. ამ ყაბზი ბრალდებისათვის ნიკიტა ხრუშჩოვმა სემიონ იგნატიევი თანამდებობიდან გადააყენა, ამ საქმეზე დაპატიმრებული ყველა მედიკოსის მუშაი კი გამართლებული გაათავისუფლეს. ესლა კი „ამხანაგი სემიონ იგნატიევი“ 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის.

**წ ა რ დ ბ ი ნ ე ბ ა**

განსვენებული გიორგი კონას ძე წერეთელი იყო სოფელ პერევესიდან. ახლო მეზობელი და მეოთხე თუ მეხუთე თაობის ჩემი ნათესავი. მას უფრო იცნობდნენ „ცაცას გიორგის“ სახელით. ცაცა იყო დედამისი, რომელიც ადრე დაქვრივებულა, იყო მეტად ჭკუიანი, პატივცემული და სახელოვანი ქალი. ამიტომ ყველაფერს, რაც ამ დიდ და შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა, ცაცას სახელით იხსენიებდნენ, (ცაცას ტყე; ცაცას მინდორი, ცაცას ჯორი და სხვა). ეს ოჯახი იყო თავშესაფარი ცარიზმის წინააღმდეგ არალეგალურ მებრძოლების. გიორგი იყო უფროსი ვაჟი, გატაცებული და აქტიური წევრი სოც. დემოკრატიული პარტიის, რომლის ერთგული დარჩა სიკვდილამდე.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ გიორგი უსუსოეთში ვადმოიხვეწა, მაგრამ ხელისუფლებამ მის ოჯახზე იძია შური. ორივე მისი ძმა დაიჭირეს და გადაასახლეს. შუათანა სიმონი უკან აღარ დაბრუნებულა, უმცროსი — ვარლამი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის წინ დაბრუნდა დაავადყოფილებული და უღროოდ მოხუცებული. მოხუცი ცაცა ისე გარდაიცვალა, სამი სათაყვანებელი ვაჟიშვილიდან ვერცერთის ხილვას ვეღარ მოეცა.

როდესაც სოფ. აბონდანის მოხუცთა სახლში, გიორგი წერეთელი გარდაიცვალა, იქაურმა ქართველებმა, მე და ჩემს ბიძაშვილს გიორგის, გადმოგვცეს განსვენებულის პირადი ნივთები, რომელშიც იყო ეს დოკუმენტი. ჩანს განსვენებულს იგი დაუწერია. როგორც პასუხი ე. ჩუბინის „მოგონებებზე“, მაგრამ დაბეჭდვა ვერ მოუხერხებია. ამ ხელნაწერში, არა მარტო თავის მართლმადებელ ჰიათურაში აჯანყების 24 საათით ადრე დაწყებისთვის არამედ ერთგვარ მასალასაც წარმოადგენს 1921 წლის თებერვლიდან 1924 წლის აგვისტომდე ოკუპაციასთან მებრძოლ საქართველოსა და ეკრძოთ, მის ერთ ინტუსტრიალურ რაიონის — ჰიათურისას. ამიტომ, როგორც ისტორიული დოკუმენტი, რედაქციამ გადაწყვიტა მისი დაბეჭდვა სწორედ ისე, როგორც არის; უკველგვარი შესწორების, გარჩევისა და დაფასების გარეშე. დედანი ჩემთან ინახება და მასთან სისწორის პასუხისმგებელი მე გახლავართ, ხოლო წერალში მოთხრობილი ამბების სრული პასუხისმგებელია მისი ავტორი.

გიორგი ილიას ძე წერეთელი.

82962





† გიორგი კონას ძე წერეთელი.

**ვალერიო ჩუბინიძის მოგონებების გამო.**

1921 წლის მოსკოვის საოკუპაციო ხელისუფლებამ, გამოუვალ მდგომარეობაში მიიჩნა ქართველი ერი. ჩიხიდა გამოსავლად საჭირო შეიქნა მოქმედება. ერის თვალი კი მიმართული იყო ბრძოლაში გამოცდილ სოციალ დემოკრატისკენ. ამას კარგად ხედავდა საოკუპაციო ხელისუფლება და მთელი ძალა სოც. დემოკრატისკენ მიმართა. მათ გაუჭირდათ მოქმედება, შით უფრო, რომ ქართველთა შორის აღმოჩნდნენ მოსკოვის ავენტები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ყველა მომქმედ. მათ ყველა მიუჩინეს ჯაშუში ავენტები, რომელნიც ყოველ ფეხის გადადგამზე ურცხვად სდევნიდნენ. გადაწყდა, ცნობილი პირები მიმდგარიყვნენ და ჯსლები ამუშავებულიყვნენ.

მოგახსენებთ ყოველ საქმიანობაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ორგანიზაციას აქვს, მით უფრო იქ. ხელშეღებულებებისათვის მთავარი იყო ეროვნულათ განწყობლათა გაერთიანება და მათი მჭიდროთ დაკავშირება. ამ მხრივ მრავალ დაბრკოლებას ქონდა ადგილი. საჭირო შეიქნა ორგანიზაციათა გადაჯგუფება, აგრეთვე პიროვნებათა შერჩევა, როგორც პრინციპიალურად ისე სულიერათა და ფიზიკურადაც, რათა მომქმედთ თვალი გაესწორებიათ, როგორც წამებისათვის ისე სიკვდილისათვის და არ „წამხდარიყვენ“. რადგან ხელმძღვანელებს ამყარებდა ორგანიზაციულ მუშაობას ყველა ეროვნულათ განყოფილინი ორგანიზაციის სახით უნდა გაერთიანებულიყვენ და დაკავშირებულიყვენ.

თანამოაზრე პარტიებს არ აღმოაჩნდათ სათანადო ორგანიზაციები, აგრეთვე ცოტა აღმოაჩნდათ ორგანიზაციულად მომუშავენი. მიზანშეწონილად იქნა მიღებული დახმარებოდნენ ურთი-ერთს ორგანიზაციების მოკვარება მოწყობისში.

ამ მხრივ ყველაზე გულწრფელად და გულმოდგინეა მუშაობდნენ, ურთიერთ ნდობა და კავშირი ისეთი იყო, ძნელათ გააჩრევიდთ ვინ რომელ მიმართულებას ეკუთვნოდა. აქ, ევროპაში, ბევრს შეხვდები არა სოც. დემოკრატს, რომელიც სოც. დემოკრატის მხნდატით არის ჩამოსული. ეს აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ ზემოთ მოახსენებულ მჭიდრო კავშირით, რასაც სამწუხაროდ აქ არ დაურჩა ადგილი. რასაკვირველია, იქაც იყო გამოხაკლისი, როგორც თბილისში ისე პრევიენციებში მოქმედების დროს წყაწყილთ ეროვნულ დემოკრატულ პარტიიდან ზოგ განხუ მაყურებელთ, რაც ძალიან საეჭვოდ მიიჩნიეს გაერთიანებულებმა, თუმცა ისინი ირწმუნებოდნენ და აპტიციებდნენ; საზღვარგარეთიდან გეკექს ასეთი ცნობები და დაუკანებები და სხვა. ამნაირათ, ეროვნულად განწყობილთა ორგანიზაციულ მუშაობისათვის შესაფერვი მ-მართუ-

ლება უნდა მიეცათ. ამ მხრივ მრავალ დაბრკოლებას ქონდა ადგილი, რომლის ჩამოთვლას ამჟამამდე არა შეიძლება მიზანშეწონილათ. მრავალ დაბრკოლებას ქმნიდაც და მშკმედდნას თითქმის შეუძლებლათ ხდიდა, როგორც შეიარაღებულ ისე გადაამაშული ჯგუფების არსებობა. არა მარტო ჩილიკაშვილის პატარა რაზმი, არამედ ყოველ მხარეში დევნილთა ჯგუფები საოკუპაციო ხელიუფლებამ ბანდიტებათ გამოაცხადა, მათი ახლობლები და ნაცნობები კი ბანდიტების ხელისშემწყობათ და ბაალიანს და უბრალოს ატუსაღებდნენ და მრავალნაირი წამებით ხოცავდნენ. საოკუპაციო ხელისუფლება, პროვოკაციის მიზნით თვით ქმნიდა პატარ-პატარა ჯგუფებს, აყეთებდნენ სხვა და სხვა სახის, მათთვის სასარგებლო პროვოკაციებს და ასეთ ჯგუფებს და პიროვნებებს აპარებდნენ, როგორც შეიარაღებულ ისე დევნილთა ჯგუფებში. ამ დავიდარებას მიემატა ერთი უცბადი და გაუფრთხილებელი მოვლენა. ილია მაისურაძის უცბადი შემთხვევით, მთელი გორის მაზრის ანტიკომუნისტურად განწყობილინი ჩაცვივდნენ ჩეკაში, რასაც მოყვა მრავალი მსხვერპლი.

საოკუპაციო ხელისუფლების წარმოუდგენელმა და აუტანელმა სიმკაცრემ, კომუნისტების ორგანიზაციათა და პრეტის წარმოუდგენელმა დემაგოგიამ, ისეთი მღვმარებობა შექნა, რომ ხელმძღვანელობას აიძულებდა არა მარტო შეიარაღებულთ, არამედ ყველგან დევნილთ თუ ვერ მიმალვდნენ, როგორც შეემციერებიათ. როგორც ჯგუფებს, ისე უფროსი პირებს გამოწვევლად სწამდათ არამც თუ მიმალვა, არამედ მათი გამოავლება და გასლიერება. ამის გამო მთავარ დემკომში უსიამოვნებასაც კი ქონდა ადგილი. ამრიგათ მიღებულ იქნა, რაც შეიძლება ჯგუფების მიმალვა. არ კმაზა დადგენილება, საყიროა მისი გატარება. ამ მხრივ, მოქმედება არის ძნელი და ძალიან სახიფათო, ამ მხრივ მომქმედნი ხშირად ვარდებოდნენ; მათ აბრალებდნენ ბანდიტებთან კავშირს და აუცილებელი იყო წამებით დასჯა.

ზემოთ მოვიხსენიე, ხლებიდა მომქმედ პირთა შერჩევათჟო, ასეთ შერჩეულთა შორის არის ვალერიო ჩუბინიძე. მისი მთავარი ღირსება იყო, არასოდეს არ გადაუღვამს არც ერთი ნაბიჯი თუ რომელიმე კომპეტენტური დაწასებულლებიდან არ იყო დადასტურებული. (სამწუხაროთ, ასეთ დადასტურებას ბევრი არ დავიდევდა). ამიტოვ, მის მოქმედობაში არ შემჩნეულა არც თავზელობა, არც გახრა.

ამ ეჟათ გამოვიდა მისი „მოგონებანი“. წიგნი ბევრი ნაწირობად და ლამაზი გამოცემა. არ არის საფიქრელი, რომ ჩვენი კომპეტენტური დაწასებულლება დროულათ ჩათვლიდა ვალერიო ჩუბინიძის „მოგონებების“ გამოცეალს, მაგრამ ის გამოსულია ყველას ხელმისაწვდომათ.

როგორც მახლობლები, ისე შორებლები კითხულბოდნენ ვინ იყო ვალერიო ჩუბინიძე, რომ ამდენ ამბებს ჩამოთვე (გაგრძელება შემდეგ გვ. პირველ სვეტის ბოლოში).



1905 - 1974

† მიხეილ გრიგოლიას გარდაცვალება

ა/წ 20 აგვისტოს, აბანოებზე სამყურნალოდ მყოფი, გულის ავადმყოფობით უეცრად გარდაიცვალა ჩვენი რედაქციის წევრი მიხეილ გრიგოლია. მისმა მეგობრებმა, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, როდესაც ის 6 დღის დამარხული იყო, შევიტყვეთ ეს შემაძრუნებელი ამბავი. უსახშოა ჩვენი წუხილი, მით უფრო, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ვერ დავესწარით, და უცხო მიწას მიაბარეს კაცო, როგორც უსამშობლო, უპატრონო და უშეგობრო. ყველა ზომები მიღებულია, რათა განსვენებულის ცხედარი გადმოსვენდეს და დასაფლავდეს მის თანამემამულეთა შორის, ლევილის სასაფლაოზე.

მიხეილ გრიგოლია ერთი, (სხვა მრავალთა შორის) მსხვერპლთაგანია საბჭოთა ტირანიის მიერ საქართველოს დაპყრობის, მღვიმე მამულიშვილთა ოჯახიშვილი, (მისი ორი უფროსი ძმა დახვრიტა საოკუპაციო ხელისუფლებამ), ვერ ურიგდება სამშობლოს დაპყრობას, და სრულიად ახალგაზრდა აქტიურად ებმება საწინააღმდეგო მოძრაობაში.

როდესაც იქ მისი გაჩერება აღარ შეიძლება, ტოვებს (რა იცის, რომ სამუდამოთ!) მშობლიურ მიწას. ვად-

მიხეილ გრიგოლიაში, ლუკმა-პურის მოპოვებისათვის ბრძოლაში ის ვერ ახერხებს გაარღვმოს და სრულდება სამშობლოში მიღებული საფუძვლიანი სწავლა-განათლებლა, მიუხედავად ამისა, ის შორიდან, ბეჯითად თვალყურს ადევნებდა ჩვენი ქვეყნის მაჯისცემას, და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, ქართული კლასიკურ და თანამედროვე ლიტერატურის და განსაკუთრებით პოეზიის ერთერთი კარგი მცოდნე იყო.

როდესაც მდგომარეობამ უკარნახა, ის მიეკედლა იმ გულს, რომლისათვისაც ყველა დოქტრინაზე ზალა სამშობლო იდგა, და იარაღით ხელში შეეცადა დაკარგულ სამშობლოს მოპოებას.

ომის შემდეგ, მ. გრიგოლია აქტიურად თანაშრომლობდა საფ. მცხოვრებ ქართველ მწერალთა და კურნალისტთა საზოგადოებაში და რამოდენიმე წლის განმავლობაში იყო მისი თავმჯდომარე.

განსვენებული სუსტი ჯანმთელობის იყო მუდამ, რაც მე ვიცნობდი. თავიდან ფილტვებს უჩივოდა, რაც დრო გადიოდა სენი ემძლავრებოდა, კუჭი და ლცოდორი თავიანთ ფუნქციებს წესიერად აღარ ასრულებდნენ, სისხლის მიმოქცევის მიღების დაავადების გამო ფეხება იტკივებდა და სიარული უჭირდა, ბოლოს კი გულმაც უღალატა. უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში სულ ავადმყოფობდა, მთელს დროს ჰოსპიტალში ან შინ მკურნალობაში ატარებდა, ავადმყოფობისაგან განაწამებს მას მინც მთელი არსებით სწყუროდა სიცოცხლე და სიკვდილის ეწინააღმდეგებოდა. სიკვდილმა იმძლავრა და ჯერ კიდევ კარმაგი, 69 წლის ასაკში წარიტყა, ისე, რომ არ ეღერსა სათაყვანებელი სამშობლოს და ახლობელი დედამამიშვილების ხილვა.

მიხეილ გრიგოლიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ეურნალის დაარსებაში, მიუხედავად ავადმყოფობისა თავს არ იშურებდა, რჩევა დარიგებას გვაძლევდა, რაც კი შეეძლო გვემზარებოდა. თავისუფლების ტრიბუნის რედაქცია მის ამაგს არ დაივიწყებს, ღმერთმა ქნას, დედა-სამშობლოსა და მისი კეთილი სხუენისათვის მწყალობელი კალთა გადაეფარებოდეს.

† მიხეილ ლაღინის გარდაცვალება

ა/წ 3 აგვისტოს, ვაშინგტონში, გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა მიხეილ ნიკოლოზის ძე ლაღინი.

ღრმა მწუხარების გამოხატულ სამძიმარს მოეხსენებთ მის ძვირადღირებულ და მწუხარებულ ოჯახს, ყველა ახლო ნათესავებს და მეგობრებს. თავისუფლების ტრიბუნის მომავალ ნომერში ადგილი დაეთმობა განსვენებულის ბიოგრაფიას და ცხოვრების მთავარ მომენტებს.

გ. კ. წარეთელი.

(გავრძელება შემდეგ ნომერში).

